

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

საგრანტო განაცხადის წარდგენის და განხილვის წესი

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში საგრანტო განაცხადის წარდგენის და დაფინანსების პირობებს.
- 1.2. საგრანტო დაფინანსება არის უნივერსიტეტში განხორციელებული სამეცნიერო, კვლევითი, ინოვაციური ან სხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობისთვის (შემდგომში საგრანტო პროექტი) შიდა ან/და გარე ფინანსური საშუალების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზა.
- 1.3. უნივერსიტეტში საგრანტო დაფინანსების სახეებია:
 - 1.3.1. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სახელით საგრანტო პროექტის წარდგენა ადგილობრივ ან საერთაშორისო დონორთან;
 - 1.3.2. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შიდა დაფინანსება, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის ან/და შესაბამისი სკოლის ბიუჯეტიდან კვლევითი და ინოვაციური საქმიანობისთვის;
 - 1.3.3. ინდივიდუალური საგრანტო განაცხადის შეტანა;
 - 1.3.4. მკვლევართა ჯგუფის, კლასტერის და სხვა სუბიექტის მიერ საგრანტო განაცხადის შეტანა.

2. საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადები და პირობები

- 2.1. შიდა ან გარე დაფინანსებისთვის წარმოსადგენ საგრანტო განაცხადში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია (განაცხადის ფორმა წარმოდგენილია დანართი N1-ის სახით):
 - დაფინანსების ტიპი - შიდა (სკოლის მითითებით) ან გარე (გარე დაფინანსების შემთხვევაში საგრანტო კონკურსის, დონორი ორგანიზაციის, კონკურსის ბოლო ვადის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაცია (ვებ-გვერდის მისამართი));
 - საგრანტო კონკურსში მონაწილე სუბიექტის რეკვიზიტები;
 - პროექტის სახელი და მისი ხანგრძლივობა;
 - საპროექტო წინადადების აღწერილობა;
 - პროექტის საერთო ბიუჯეტი და პროექტში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წილი (პარტნიორი ორგანიზაციების არსებობის შემთხვევაში);
 - თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის თანხობრივი მოცულობა.
- 2.2. გარე დაფინანსებისთვის საგრანტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას კონკურსზე წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. ამ ვადის

დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტის იტოვებს უფლებას არ მიიღოს და არ განიხილოს დაგვიანებით წარდგენილი საგრანტო განაცხადი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

- 2.3. შიდა დაფინანსებისთვის საკონკურსო საგრანტო განაცხადის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ. ინფორმაცია საგრანტო კონკურსის გამოცხადების და მისი შედეგების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gau.edu.ge.
- 2.4. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი გამოწვევის და უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი რეაგირების და დახმარების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შესაძლებელია საგრანტო განაცხადის შეტანა არასაკონკურსო წესით.
- 2.5. საგრანტო განაცხადის წარდგენა ხდება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. საგრანტო განაცხადის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური.

3. საგრანტო განაცხადის განხილვის ვადები

- 3.1. საგრანტო განაცხადის განხილვას სამეცნიერო საბჭო ახორციელებს წარდგენიდან 20 დღის ვადაში.
- 3.2. საგრანტო განაცხადის განხილვის შედეგი დაინტერესებულ მხარეს ეცნობება წერილობით გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
- 3.3. გარე საგრანტო პროექტის წარდგენაზე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების დროს, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში წარმოადგინოს პროექტის სრული ვერსია.
- 3.4. დაფინანსების შემთხვევაში პირი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის წარდგენის განსხვავებული ვადები და პერიოდულობა შეიძლება განსაზღვროს სამეცნიერო საბჭომ გრანტის სპეციფიკიდან გამომდინარე.



დანართი N1 | Annex N1

საგრანტო განაცხადი | Grant Application N _____

(ივსება უნივერსიტეტის მიერ / will be filled by university)

თარიღი | Date _____

<p><i>ივსება გარე დაფინანსების შემთხვევაში</i></p> <p>კონკურსის დასახელება/Call Name:</p> <p>დონორი ორგანიზაცია/Donor Organization:</p> <p>კონკურსის ბოლო ვადა/Call Deadline:</p> <p>კონკურსის სხვა პრიობები (მიუთითეთ ვებ-გვერდი)/Other Information (indicate Web-Site Link of the Call):</p>
<p><i>ივსება შიდა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში</i></p> <p>სკოლა/School:</p> <p>მიმართულება,დარგი/Direction, Field:</p>
<p>პროექტის დირექტორი ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში/Project Director in GAU:</p> <p>სახელი და გვარი/First Name and Last Name:</p> <p>პოზიცია/Position:</p> <p>ტელეფონის ნომერი/Cell Number:</p> <p>ელ. ფოსტის მისამართი/E-mail:</p>
<p>პროექტის კოორდინატორი უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/Project Coordinator University/Organization:</p>
<p>პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტ(ებ)ი/ორგანიზაცია(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) /Project Partner University(s)/Organization(s) (if Applicable):</p>
<p>პროექტის სახელი /Project Name:</p>



პროექტის ხანგრძლივობა, დაწყების და დასრულების სავარაუდო თარიღი/Project Duration, Estimated Start and End Date:
პროექტის მოკლე აღწერა, მიზნების და აქტივობების მითითებით/Project Short Description, including Objectives and Activities:
პროექტის სავარაუდო საერთო ბიუჯეტი /Estimated Budget of the Project:
ბიუჯეტში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წილი (პარტნიორი ორგანიზაციების არსებობის შემთხვევაში) /Share of Georgian American University in the Budget (if there are Other Partners):
თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)/Co-funding Amount (if Applicable):
დამატებითი ინფორმაცია/Additional Information:

ხელმოწერა: